

K 21500
3



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

613.81



ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

№ 4.

დროა გონს მოვიღეთ!

ღვინისა და არყეული სასმელების წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ბარნაბიშვილის-მეიერ.

სკვპ-2000
შემოქმედებულია

K 21.500
3

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!...“
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროს
აღმიანიშნა სწავლას უნდა მოახმაროს...“
კონფუცი.



ბზილისი

ისტამბა ექვთიმე ივ. სელაძისა.

1896

0534345-827.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою, Тифлисъ 2 декабря 1895 года.

3277. 2018. [9. 11.]

ღროა გონს მოვიდეთ!*)

ღვინისა და არყეულის ხმარება სასმელად, როგორც ამას ქვემოდ დაინახავთ, პროფესორი ფორელის სიტყვიდამ, ლუპავეს ჩვენ ჯან-მრთელობას, ლუპავეს ჩვენ გონებით ნიჭებს, ლუპავეს ჩვენი ოჯახის კეთილ-დღეობას და, რაც უფრო სამძიმოა, ლუპავეს სულის კაცისას და მის ჩამომავლობას. ამოდენა ვნება მოაქვს ღვინოს ადამიანისათვის და ჩვენ-კი გულ-გრილად შეეცქერით მას და არაფითარ ზომას არ ეღონობთ მის წინააღმდეგ.

პირიქით, რაც ღრო მიდის, უფრო და უფრო ვრცელდება, როგორც ხმარება ღვინისა და სხვა არყეულისა, ისე მათი წარმოება. ვითარცა მოარული დადის იგი სოფლიდამ სოფლად ჩვენს ქვეყანაში და უჯდება ყველას ძვალსა და რბილში: სმენ ყველანი—დედა-კაცებიც, ქალებიც, ბავშვებიც, ჭაბუკნიც და ვაჟ-კაცებზე ხომ რაღა ვსთქვათ,—სტუმრობა, ნადიმობა,

*) შინაარსი ამ წიგნისა შეეხება ჩვენი ცხოვრების ერთ უმთავრეს დარგს—„ღვინისა და არყეული სასმელების კეთება-ხმარებას სასმელად“, „ღვინისა და არყეული სასმელების კეთება-ხმარების სრულიად მოსპობას“. საგანი, როგორც მკითხველი დაინახავს, სახუმარო არ არის და ჩვენი ხალხისათვის დიდად საყურადღებო. ვსთხოვ ჩვენ ქველ-მომქმედ წრეებს და პირებს გაავრცელონ ეს წიგნი ახალგაზდებში და ხალხში.



ქორწილი, ქელები და სხვ. ისე როგორ ჩაივლის, არაა უცხოა
ლაზათიანად არ გამოთვრნენ, არ შეზარხოზდნენ

ღარიბსაც და მდიდარსაც, ქალსაც და კაცსაც, დიდსაც და
პატარასაც, ერთი სიტყვით ყველას, წარმოუდგენიათ, რომ მხი-
არულობა ღვინის სმით უნდა იყოს; წარმოუდგენიათ, რომ ქე-
ლებებში, ქორწილში, ნათლობაში, შეხვედრაში და სხვ., უკე-
თესი საშუალება მწუხარების და სიხარულის გამოხატვისა არის
დათრობა, ღვინით გატყურომა, გაპირუტყვება...

მაგრამ ყველაზედ გასაკვირველი აქ ის არის, რომ ყველა-
ნი ვიღუპებით და არ-კი ვიცით რათა და რისთვისა? რომ ვკი-
თხოთ ჩვენს თავს—რათა ვსვამთ, გარწმუნებთ პასუხს ვერ ვი-
ტყვით. რომ ვსთქვათ, რომ ეს სასმელები გემრიელია, ვერ ვი-
ტყვით, რადგანაც, აბა რა ისეთი განსაკუთრებული გემო აქვს
ღვინოსა და არაყსა, რომ ადამიანები ხშირად თავსაც-კი იხრ-
ჩობენ შიგა!—რომ ვსთქვათ, რომ ღვინო და არყეული მარ-
გებელია ჩვენი ჯან-მრთელობისათვის, აგრეთვე ვერ ვიტყვით,
რადგანაც ექიმებმა და მეცნიერებმა დიდი ხანია დაამტკიცეს,
რომ არც ღვინოში, არც ლუღში და არც სხვა არყეულში არა-
ვითარი ყუათი ¹⁾ არ მოიპოვება და შხამი-კი ბლომად არის
მათში ღარეული, რომელიც, თქმა არ უნდა, მავნებელია ყვე-
ლასათვის.—რომ ვსთქვათ, რომ ღვინო გვმატებს ღონეს, აგ-
რეთვე ვერ ვიტყვით, რადგანაც ყველგან და ყველასაგან შენი-
შნულია, რომ მსმელი მუშები მარად გაცილებით უფრო ნაკ-
ლებს საქმეს აკეთებენ, ვიდრე არა მსმელები; გამოდის, რომ
მსმელებს ნაკლები ღონე ჰქონიათ, რომ ღვინო არ-კი ჰმატებს
ღონეს, არამედ ართმევს. ასსა და ათასს კაცზე შეგვიძლიან და-
ვრწმუნდეთ, რომ ისინი, ვინც სასმელად მხოლოდ წყალს ხმა-

¹⁾ ყუათი—ძალა, ღონე.



რობენ, უფრო ღონიერნი და სალნი არიან, ვიდრე უმცლნი ღვინისა.

ამბობენ აგრეთვე, რომ ღვინო ათბობს კაცსაო, მაგრამ არც ეს არის მართალი: ყველამ ვიცით, რომ ნასვამი კაცი ხურდება მხოლოდ ცოტა ხნობით, ბევრს ხანს-კი უფრო სცივა, ვიდრე უსმელს. — რომ ესთქვათ, რომ ქელეხებში, ნათლობაში, ქორწილში, გაყრაში, სყიდვა-გასყიდვაში და სხვა ამ გვარ შემთხვევებში ღვინო დავლიოთ, უფრო გავსჯით იმ საქმეს, რომლისათვისაც შეეკრებილვართ, არც ეს არის მართალი რადგანაც, რომ ამისთანა დროს საქმე კარგად გასაჯო, სრული სიფხიზლეა საჭირო და არა ღვინით გატყურომა. — რომ ესთქვათ, რომ იმისთვის მაინც მავნებელი იქნება ღვინის სმაზე ხელის აღება, ვინც უკვე დაჩვეულია მის ხმარებას, არც ეს არის მართალი, რადგანაც კარგად ეხედავთ ყველანი, რომ მსმელი ხშირად ვარდება სატუხალოში, სადაც მას ღვინოს სრულებით არ აძლევენ და ამით იგი ხოლო უკეთესდება, ღონიერდება. — რომ ესთქვათ, რომ ღვინოს ხმარება გვმატებს სიმხიარულეს, არც ეს არის მართალი, რადგანაც ღვინო, როგორც მალე აღხენს კაცს, ისე მალეც ავდებს მწუხარება-მოწყენილობაში. შედით რომელ სამიკიტნოშია¹⁾ გნებათ და ყველა აქ თქმულს ნათლად დაინახეთ. — რომ ესთქვათ, რომ ღვინის სმა მავნებელი არ არის, არც ეს არის მართალი, რადგანაც მისი მავნებლობა სულისა და ჯანისათვის ყველას კარგად აქვს გამოცდილი.

მაშ ეგრე: ღვინოს არც გემო აქვს განსაკუთრებული და არც ყუათი; ის არც გვათბობს, არც ღონეს გვმატებს, არც საქმეში გვშველის და სულისა და ჯანისათვის-კი დიდად მავნებელია. რომ ჰკითხოთ, რათა ჰსევამთ და რათ იღრჩივებით ღვინოში, გიპასუხებენ: „ყველანი სმენ და ეპატიჟებიან ერთმანერთს; რო-

1) სამიკიტნო — სასმელების დუქანი.



გორ შეიძლება, თუ მეც არ დავლიე და არ მოვდევნებო“
ეს გახლავთ მსმელების გამართლება და საბუთი! ამათ წარმოდგენილი აქვთ, რომ ირგვლივ ყველანი სმენ და ევატიყე-
ბიან ერთმანერთს, მაგრამ ეს ხომ ტყუილია: ქურდი მუ-
დამ ქურდებთან ავან-ჩავანობს და მას ყველა ქურდად მიაჩ-
ნია; აბა თავი დაანებოს ქურდობას და პატიოსან ხალხში გაე-
რიოს: ნახავს, რომ ყველა ქურდი არა ყოფილა. ღვინის სმა
და სიმთვრალეც ასეა: ყველანი არა სმენ და არც ჰპატიჟობენ
ერთმანერთს. ყველანი რომ მსმელები ყოფილიყვნენ, აქამომდე
ხომ ჩვენი ნასახიც აღარ იქნებოდა ქვეყნად, ისე ამოვწყდებო-
დით ყველანი, მაგრამ მადლობა ღმერთს: მისი მოწყალეობა
გვეფარავს და გვაპატრონობს მარად და ყველგან! რამდენი ათა-
სი და ათი ათასი სულია იმდენად შეგნებული, რომ ერთ ჭიქა
ღვინოსაც არ ჩაუშვებს პირში! ამათი წყალობით არის ქვეყანა
ცოცხალი და კიდევაც იქნება მარად!..

თუ ღვინის მსმელთ ხელი-ხელს გადაუბამთ და მხოლოდ
იმას ცდილობენ, რომ მთელი ქვეყანა ღვინის სმას შეაჩვიონ
და მით დაღუბონ, ჩვენ რაღას ვაკეთებთ? დროა გონიერმა
ხალხმაც შევიგნოთ, რომ ჩვენთვისაც საჭიროა ხელი-ხელთ ჩა-
ჭიდვა და მედგარი ბრძოლა სიავის წინააღმდეგ, რომ ბორო-
ტებამ ყველანი არა გეძლიოს და საუკუნოდ არ დაგვღუბოს!..
დროა გონს მოვიკეთო!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ი ტ უ ვ ა

ღვინისა და არყეულის ხმარებაზე,

წარმოთქმული სტუდენტების¹⁾ წინაშე (აიურისის²⁾ უნივერსიტე-
ტის³⁾ პროფესორის დოკტორი⁴⁾ ფორეჯისისგან.

მოწყალენო ხელმწიფენო!

ღვინისა და არყეულის ხმარება სასმელად არის ერთი უძველესთაგანი ჩვეულება ხალხისა. მაგრამ სიძველით ჩვენ მას ვერ გავამართლებთ, როგორათაც ვერ გავამართლებთ ძველებურ ტანჯვა-წვალების წესებს, კაცთ-მჭამელობას, მონობას და სხვა ამ გვარებს. გარდა ამისა, უწინ მათრობელა სასმელები ძლიერ ძვირი იყო და ხოლო ბედნიერს დღეებში ხმარობდნენ; მაშინ არც ღვინის დაყენება იცოდნენ ხეირიანად, არც არყის გამოხდა და არც ამათი შენახვა; ეს იყო მიზეზი, რომ უწინ საზოგადოდ მცირედ იყო ღვინის სმა გავრცელებული და თუ სვამდნენ, სვამდნენ უფრო შეძლებულნი და ხალხის უმეტესი ნაწილი-კი მოშორებული იყო ამ სენს. წყალი, აი უწინდელი ადამიანის უმთავრესი და ერთად-ერთი სასმელი!

სულ სხვაა ახლა: ჭრმატებულმა ხელოვნებამ ღვინისა და არყეულის მომზადებაში შესამჩნევად გააგრცვლა მათი ხმარება ხალხის ყველა ნაწილში და წოდებაში. სასმელების დუქნები მრავლდება სოკოსავეით; აქ იფლანგება ნაშრომ-ნაღვაწი დედ-

1) ს ი ტ უ დ ე ნ ტ ი — მოწაფეა უმაღლესი სასწავლებლისა.

2) ც ი უ რ ი ხ ი — ქალაქია შვეიცარიაში.

3) უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი — უმაღლესი სასწავლებელია.

4) დ ო კ ტ ო რ ი ეწოდება ექიმს და აგრეთვე უმაღლესი ხარისხის მეცნიერს.



მამებისა და თვითონ შვილებისა; ღუქნებში დროს გატარებით იფუშება და იბლალება ოჯახური ცხოვრება; მსმელნი ამით არ კმაყოფილდებიან და ცდილობენ სახლშიაც იქონიონ ღვინო და არაყი, რითაც პატარაობითვე ეძენთ ამ სენსა ჩვენ შვილებს და შვილი-შვილებს. საზოგადოთ-კი ისე დაეწინაურდით ჩვენ ამ მხრით, რომ ღვინო და არაყი ხალხს პურსავით უსაჭიროეს საგნად მიაჩნია, ასე რომ, როცა ღვინო არ მოვა ხალხმე ყველანი დრტვიან და მთელ უბედურებად სთვლიან მის მოუსავლობას.

არ შემიძლიან არ გიამბოთ აქ ერთი შესანიშნავი ამბავი. ამას წინად ქალაქ ბრემენში იყო ბუნების-მეტყველთა კრება. კრების მერე ყველანი სადილზე მიგვიწვიეს და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: სუფრაზე შეუძლებელი გახდა წყლის შოვნა! 800 ადამიანისათვის გაშლილ-დამზადებულ სუფრაზე ერთი ბოთლი წყალიც-კი არ დაედგათ, ასე რომ, როცა მოსამსახურემ ერთი საათის შემდეგ ღვინიანი ბოთლით ძლივს წყალი მომიტანა, მე მოხარული გავხდი. დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ ზნეობით ძალ-დატანების დროში!

არ შემიძლიან დავმალო და არ გიამბოთ აქვე კიდევ ერთი ამ გვარი ამბავი. საქმე გახლდათ შემდეგში:

ამ ერთი თვის წინად, ქალაქ ბერლინში, როგორც თვითონაც უწყით, იყო ერთა-შორისი, დიახ მრავალ-რიცხოვანი, ექიმთა კრება. მართა ერთ სადილზე, რომელიც ბერლინმა გაუმართა ამ ექიმებს, დაილია:

- 5308 ბოთლი შამპანური;
- 4721 „ ბორდოული;
- 3805 „ რეინული;
- 1500 „ მოზელური; ¹⁾

¹⁾ ყველა ეს—ღვინოებია ფრანგული და ნემეცური.



2685 „ ლუდი;
300 დალევა არაყი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროს გატარებაში მონაწილეობას იღებდა 4000 კაცი. ან-გარიშით კაცზე მოდის 4 ბოთლი ღვინო, 2 ჩარქამდე ლუდი და $\frac{3}{10}$ დალევა არაყისა. ბოროტი ენები ბევრს სამასხარო ამბებს ლაპარაკობენ, რომელიც მომხდარა ამ ნადიმზე, როგორც თვით სადარბაზო ოთახში, ისე კიბეებზე და ქუჩებში. მაგრამ მე არ შევენები ამ ამბებს, რადგანაც თვითონაც კარგად უწყით, თუ რაც იქნებოდა ეს სამასხარო ამბები..

„რასა ბრძანებთო“, — მეტყვიით თქვენ: — „ღვინო ამხიარულებს კაცსა მწუხარე წამებში; გრძნობათა აღმძრავი სასმელები უმატებენ კაცს ხალისს და მხნეობას, იწვევენ ადამიანობას და ერთობას. რა უხამსი და ულაზათონი იქნებოდნენ ჩვენი უქმე დღეები და შეკრებილებანი უღვინოთ და უარაყოთ! მაწებელია ხოლო სიჭარბე და ნარეობა სასმელებში; ზომიერად ხმარება-კი სრულებითაც არ არის მაწებელი; თითქმის რომ მარგებელია კიდევ: გვიმატებს ძალას, გვაფხიზლებს, გვახურებს, გვამხნევეს, გვწველის მუშაობაში... ღვინო და არაყული უკეთესი საშუალებაა გამდიდრებისა, ხოლო, გარდა ამისა, ყუათიანიც არის“, — მეტყვიით თქვენ.

რამდენიც აქ სიტყვაა, იმდენივე ტყუილი, სიცრუე, თავის მოტყუება და გაუგებრობაა!

ყველა ღვინო და არაყული, რაც უნდა წყალ-გარეული იყოს, ისეთივე უხამია, როგორათაც თრიაქი, ბანგი, მორფი¹⁾ და სხვ., ხოლო, რადგანაც ღვინოში და არაყულში ბლომად ურევია წყალი, ამიტომ ჩვენც უფრო მეტის დალევა შეგვიძლიან მათი, — აი გარჩევა მართო რაში მდგომარეობს.

მე ვეცდები, ღვინისა და არაყულის ხმარების შესახებ, სი-

1) წამლებია დამაძინებელი.



სწორით დაესვა საკითხები და საბუთებით ან უსუსული პასუხები მოგახსენოთ.

I. სასარგებლოა თუ არა კაცის ჯან-მრთელობისათვის რომელიმე ღვინისა და არყეულთაგანის ზომიერი სმაება, როგორც საშუალება ან შეტყვისა და ყუათისა?

ამ კითხვაზე მე ვიძლევი გარდაწვეტილს პასუხს: არა. და აი მე ასე რად ვფიქრობ:

1) ის პირნი, რომელნიც არა სმენ არავითარ მათრობელა სასმელებს, ჰგონობენ თავის თავს მარად ძრეელ კარვად, რასაც ერთხმად თვითონვე აღიარებენ და ყოველ-გვარი მძიმე საქმის შესრულებაზე უფრო უკეთ შეუძლიანთ, ვიდრე მაშინ, როცა ისინი ზომიერად სვამდნენ ლუდსა და ღვინოსა.

2) დამტკიცებულია გამოცდილებით, დოკტორი პარკესი-საგან, რომ, როდესაც ზოგიერთ სალდათებს ცოტაოდენი არაყი დააღვინეს და ზოგიერთებს-კი სულ არა და მუშაობაზე დააყენეს, აღმოჩნდა, რომ უსმელნი ყოველთვის უფრო კარვად და მეტს მუშაობდნენ, ვიდრე არაყ-დაღვულნი.

3) ზომიერად ღვინის დაღვეაც-კი მოქმედობს გონებაზე, ნამეტნავად ბავშვებისაზე, როგორც დამაძინებელი და სიანჩხლის აღმძვრელი საშუალება. პროფესორი დემმე, რომელიც თვით მომხრე არ არის სრული სიფხიზლისა, მოგვითხრობს შემდეგ საინტერესო ამბავს:

სკოლის რამდენიმე ჯან-სალ მოწაფეებს, ესე 10—15 წლოვანებს, რამდენიმე თვის განმავლობაში, ზაფხულში და ზამთარში, პირველად არ ეძლეოდათ არავითარი ღვინო და არყეული; ხოლო შემდეგში დაუწყეს მათ მეტად ზომიერად ღვინის ძლევა, მუდამ ღლე სადილსა და ვახშამზე: პატარებს ეძლეოდათ წყალნარევი ღვინო, ხუთამედი ჭიქისა, ხოლო მოზრდილებს—ნახე-



ვარ-ნახევარი ჰიქა და მარტო ამ გარემოებამ აი რა შედეგები მოიწვია: როდესაც ღვინო ეძლეოდათ, ბავშვები უფრო მძინარეები, ნაკლებ ყურადღებისანი და უფრო მოდუნებულნი და ბრაზ-მორყულნი ხდებოდნენ, ვიდრე მაშინ, როცა უღვინოდ ატარებდნენ ღროს. ერთს მათგანს-კი ისეთი ასპიტობა დაეტყო, შედარებით იმასთან, როცა იმას ღვინოს სრულებით არ აძლევდნენ, რომ იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ ამ გამოცდის გაგრძელება.

4) ვინც სრულებით არა სვამს ღვინოსა და არყეულსა, ისინი გაცილებით უფრო დიდ-ხანს სიცოცხლობენ, ვიდრე ისინი, რომელნიც ზომიერად ანუ გარდამეტებით სმენ ამ სასმელებსა და მთელ თავიანთ სიცოცხლეშიაც უფრო იშვიათად და ცოტა ხნობით ხდებიან ავად, ვიდრე ზომიერად მსმელნი. ეს კარგათა აქეთ შეგნებული ინგლისის „სიცოცხლის დამზღვეველ საზოგადოებათა“, რომელნიც უსმელებისგან უფრო მეტსა რჩებიან, ვიდრე მსმელებისგან და ამიტომ 10—20% უფრო ნაკლებს ახდევინებენ ამათ, ვიდრე მსმელებს.

5) დაქინებითი ძახილი, რომ ღვინო და არყეული საჭირონი არიან ადამიანთა ურთი-ერთობისათვის¹⁾, — უსაფუძვლო აზრია. ამის წინააღმდეგ ფაქტს კარგად გვიჩვენებენ სრულიად არა მსმელნი ღვინისა, რომელთაც ისევე შეუძლიანთ ღვინის და კეთილი განწყობა საზოგადოებაში, როგორათაც ზომიერად მსმელთ.

პირიქით, ის გონებითი ნაწარმოებნი, რომელნიც იწერებიან შემდეგ ღვინით თუ არყეულით შეხურვებისა, ძრიელ საეჭვო ღირსებისანი დგებიან: ბევრს ამ გვარ თხზულებას თვით დამწერნი, შემდეგ გამოუხიზლებისა, უარსა ჰყოფენ დანანებით.

¹⁾ ეს რომ ასე იყოს, ქართველებზე მეტად ვინდა იქნებოდა ურთი-ერთობის მიმდევარი!



თუნდაც რომ დავთანხმდეთ, რომ პოეზიის ზოგიერთი შემსახველი
შნაფი ნაწარმოები დაიწერა ღვინისა და არყეულის შხაფრების
გავლენის ქვეშ, ეს იმას მაინც არ ამტკიცებს, რომ თუ იგივე
დამწერნი უფრო ფხიზელნი ან სრულებით თავ-დაჰყერილნი ყო-
ფილიყვნენ, უკეთეს ვერ დასწერდნენ; მე-კი დარწმუნებული
ვარ, რომ ისინი არა-მსმელნი ყოფილიყვნენ, უფრო მეტს და
უკეთესსაც დასწერდნენ.

და თუნდაც რომ მოიპოვებოდეს ასეთი თხზულებანი, მათ
არ შეუძლიანთ უზღონ კაცობრიობას ის აუარებელი ვნება,
რომელიც თან დასდევს ღვინისა და არყეულის ხმარებას. მე გა-
დაჭრით ვამტკიცებ: ერთ მშვენიერ დღეს, რომ მთელი ქვეყნის
ზურგზე ღვინო და არყეული გაქრეს და ღუქნების მაგიერ ყველ-
გან ჩაიხანები დაწესდეს, ამით ჩვენ სანატრელ ურთიერთობას
სრულებითაც არაფერი ევნება, პირიქით, იგი მიაღწევს უზო-
მოდ დიდ-ბუნებოვრობას და სულიერს სიმაღლეს...

6) ის აზრი, რომ ვითომც ღვინო და არყეული ყუათს
აძლევენ ადამიანს, კარგ გუნებაზედ მოჰყავდეს კაცი, ახურ-
ებდეს, ათბობდეს, აფხიზლებდეს და სხვ., დამყარებულია თვით
მსმელის გრძობათა მოტყუებაზე, პირადულ კმაყოფილებაზე
და მგრძობელობის სიჩლუნგზე, რომელიც გამოწვეულია ღვი-
ნისა და არყეულის შხამის ზედ-გავლენით.

7) სწორედ რომ სასაცილოა, როდესაც ამტკიცებენ, რომ
ლუდი ყუათიანი სასმელიაო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს მი-
სი სიყუვათე მხოლოდ მოჩვენებითია და, თუ რამდენათმე შე-
სამჩნევია ეს მისი სიყუვათე, ეს მარტო მაშინ ხდება, როდესაც
ჩანთქმულია ზღვისოდენა ლუდი და როდესაც იგი უსათუოდ
მაენებელიც ხდება.


8) მისიგან თავ-დაჰყერილებს კიდევ იმას ეუბნებიან, რომ
კაცისათვის, ეხლანდელი სწავლა-განათლების და გონებით მიი-
მე მუშაობის-გამო, საჭიროა გრძობათა აღმძრავი საშუალება-

ნი. გვითითებენ კიდევ ველურ ხალხებზე, რომ ისინიც ხმარობენ მათობელა სასმელებსაო და თანაც იმას ვაძინებენ, რომ სმაში თავ-დაჭერილნი მორფინისტები¹⁾ ხდებიანო და ამ თავის-თავს მეტის-მეტი ჩიხსა და ყვის სმით ლუპავენო...

მაგრამ, აქ შესანიშნავი ის არის, რომ უსმელობის მოწინააღმდეგეთ არც-კი ეძნელებათ რომონ ასეთი ტყუილი საბუთები უსმელობის და სიფხიზლის წინააღმდეგ!.. ჯერ ერთი, ტყუილია, ვითომც კაცი საჭიროებდეს საჯაფაო საქმეში, გონებითა იგი, თუ სხეულითი (ფიზიკური), გრძობათა აღძრავ სასმელებს. ამას გვიმტკიცებენ ის მრავლისაგან-მრავალნი თავ-დაჭერილნი, რომლებსაც მთელ თავის სიცოცხლეში გემოთაც არ უნახავთ ერთი ჭიქა სავსე ღვინისა და მშვენიერად-კი ეწევიან საშინაო, თუ საქვეყნო საქმეების უღელს. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ თვით ველურს ცხოვრებაშიაც უმჯობესია თავ-დაჭერით ცხოვრება, მაგრამ ისე არაფერია ტყუილი, ვითომც ღვინის უხმარებლობას მოსდევდეს ჩიხსა თუ სხვა რისამე განწესებულზე მეტის ხმარება. პირიქით, მუდმივი სიფხიზლე მეტად გონიერ და თავ-დაჭერილ არსებად ხდის ადამიანს ყოველს შემთხვევაში. უსმელობა-კი არა, და ის-კი მართალია, რომ ლოთობა და საზოგადოდ ღვინის ხმარება ხელი-ხელს გადაბმულია თუთუნის წვეასთან.

უფრო ამაზე უკეთესს გეტყვით: მე მყვანდა მრავალი ავად-მყოფი—მორფინისტი და დავრწმუნდი, რომ მორჩენის შემდეგ ეს სენი ხელ-მეორედ ხოლო ღვინისა და არყეულის ხმარებაზე და განსაკუთრებით ლოთობაზე უბრუნდებოდათ. ამიტომ, მორ-

¹⁾ მორფინისტი—მორფის ხმარებას მიჩვეული. მორფი ტკივილების დამყენებელი წამალია, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნობით აყენებს ტკივილს; ამიტომ ერთხელ მისი მიმღები, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ეჩვევა მის ხმარებას, სანამ სიკვდილი ბოლოს არ მოუღებს ავად-მყოფს.



ფინისტს თუ მართლა ჰსურს მოაჩენა, უწინარეს ყოვლისა ღვინოსა და არყეულს უნდა დაანებოს თავი. სცადეთ და სარწმუნოდებით. რაც შეეხება ისეთ, სრულიად უვნებელ სასმელებს, როგორც არიან—ჩაი, ყავა, შუშხუნა წყლები და სხვ., როგორც სხვა ყველაფერი, ესენიც მარად ჩვეულებრივად უნდა ვინმაროთ. ნამდვილ ბუნებით სასმელად-კი კაცისათვის, როგორათაც ყველა პირუტყვებისა და მცენარეებისათვის, მარად იყო და კიდევაც დარჩება—წყაღი.

იმ ქვეყნებში, სადაც წყალი მეტის-მეტად ცუდი თვისებისაა, მისი განკარგება მუდამ ერთი წამოდულებით და შემდეგ გაცივებით შეიძლება; ხოლო, თუ ერთ კოვზ ჩაის ჩაჰყრით ანუ ამღვენსავე შაქრის თუ ხილის წვესს მიუმატებთ, გემრიელ სასმელადაც აქცევთ მას. განსაკუთრებით მანებელია ღვინისა და არყეულის ხმარება ცხელს ქვეყნებში; ამას ერთხმად აღიარებენ ყველა მეცნიერი და განათლებულნი მკვლევარნი. ტყუილად-კი არ აღუკრძალა მაჰმადმა, ცხელი ქვეყნის, არაბეთის, შეილმა, თვის მიმდევართ ღვინის ხმარება!.. სიტყვა-სიტყვით ამასვე ამბობენ სერიოზული მკვლევარნი დედა-მიწის თავ-ბოლო (ПОЛЯРНЫХЪ) ქვეყნებისა და ცივ მაღალ ადგილებში ღვინისა და არყეულის ხმარებაზე...

II. მანებელია თუ არა განსაკუთრებული (წყაღ-დაწკეული) მათრობელა სასმელების ზომიერად ხმარება?

ამ საკითხზედაც ვიძლევი ისეთსავე გადაჭრილ პასუხს: დიახ, მანებელია!

მე მჯერა, რომ თუ მაგარი ხასიათის კაცნი ძრიელ ზომიერად იხმარებენ განსაკუთრებულ სასმელებს, ამით ისინი არ დაზიანდებიან, ან სრულებითაც არა ევენებათ-რა მათ. მაგრამ, ბატონებო! სრული თავ-დაჰკრილობის მაგიერ ზომიერების მქადაგე-

ბლების დიდი სიმტყუენე იმაშია, რომ მათ სჯერათ, ვითომც და ღვინის ზომიერად ხმარებით შეიძლებოდეს მისი ზოგადი ხმარებისაგან კაცობრიობის შეკავება. ყოველივე, რაც კი ჩვენ ხელთ არის, ყოველი გამოცდილება, ბევრგვარ ქვეყნებსა და მრავალ წლების განმავლობაში შექმნილი დაკვირვებანი, უტყუვრად გვიმტკიცებენ ამ შეხედულობის სრულს უძლურებას და ამისი დაცვა შეუძლიანთ მხოლოდ მაგალი აზრების ბრმა მიმდევრებს და ცუდი ჩვეულებების მონებს.

სმისგან სრულ თავ-დაჰერილებს გვეძახიან „შეუძლებელის მიმდევრებს“ (უტოპისტებს), მაგრამ შეუძლებელის მიმდევარნი ჩვენ-კი არა ვართ, არამედ მოძღვარნი და მიმდევარნი ზომიერებისა. აღარას ვამბობ ღვინისა და არყეულის ხმარების იმ ორ-ჰოფ მომხრეებზე, რომელნიც მოქმედებენ პოლიტიკური, ფინანსიური და სხვათა მოსაზრებათა ანუ მოუფიქრებლობისა-გამო. ესენი არიან უსაშინელესნი მტერნი ყოველ საზოგადო სარგებლობისა და სამწუხაროდ—უმრავლესნი რიცხვით!.. ძმებსა და მეგობრებს-კი, რომელნიც თანამოზიარენი არიან ჩვენი, მაგრამ ჯერ ადრეულად მიაჩნიათ ამისი საქვეყნოდ აღიარება, ვეტყვით ასე: ჭეშმარიტებას აწასოდეს ადრე არ მოდის! მათრობელა სასმელების ზომიერად ხმარება აი რად არის დიდად მავნებელი:

1) ღვინო და საზოგადოდ არყეული გამოიწვევს წყურვილს, მიჩვევისა-გამო ხდება ყოველ-დღიურ აუცილებელ მოთხოვნილებად, გამოიწვევს უფრო და უფრო მეტს სმას ღვინისას, დაბალ ხალხს მიეზიდება ხორციელი განცხრომისაკენ, ძრიელის ღონით მიათრევს მათ თავის სულ-მხუთავ ბადისკენ და თუ ვერ ეღირსა თვით მათ დახრჩობას, მათ შთამომავლობას ხომ მაინც შთანთქავს...

2) სასმელების ღუქნები და ღვინის სმა ჰბადავენ ღვინისა და არყეულის საწარმოებლად თან-და-თან მადიდ თანხას; ეს თანხა ხდება ძალად, რომელიც ირგვლივ ჰბოჭავს თვით სა-

ხელმწიფოსაც-კი და იქამდის ახშობს მას, რომ იგი ვეღარ ჰხედავს, თუ რაში მდგომარეობს ხალხის ნამდვილი კეთილ-დღეობა და მთვრალობას ხდის თავის შემოსავლის განსაღიღებელ წყაროდ. რომელი სახელმწიფოც ჯერ არ ჩასტიდებია ამ გვარ შემოსავლის სახაზინო წყაროს, ადვილად შეუძლიან მისი გზის აქცევა, მაგრამ, თუ ერთხელაც არის, გაება ამ გვარ წამტყუებელ შემოსავლის ბადეში, შემდეგში ძნელი-ღაა მისგან დახწევა. გავსინჯოთ ისიც, თუ რას ეძახიან ერთ-მიერის ვაჭრობას (МОНОПОЛІЯ). რომ უზრუნველი ჰყოს ხალხი კერძო მოწალმართეთაგან, რომ მიაწოდოს ხალხს ხოლო სალი, შემრგო (?) და დაწმენდილი ორხადი (ЗДОРОВЫЙ И ОЧИЩЕННЫЙ СПИРТЪ), რომ შეამციროს ღვინისა და არყეულის ხმარება... და, დასასრულ, რომ იქონიოს მეტი შემოსავალი, სახელმწიფო, იმის მაგიერ, რომ ღვინისა და არყეულის გასყიდვა სრულგებით აღკრძალოს, პირობით ეკერის ღვინისა და არყის მექარხნეებს და მეღუქნეებს. ან კიდევ, როგორც სვედეთში და ნორვეგიაშია, ერთ-მიერის ვაჭრობა ეძლევა ხოლო ზოგიერთ პატივ-მოპოვებულ საზოგადოებებს (ПРИВИЛЕГИРОВАННЫМЪ ОБЩЕСТВАМЪ), რომელნიც იმყოფებიან მთავრობისა და სასტიკი კანონების მხედველობის ქვეშ.

პირველი პასუხი თქმულის წინააღმდეგ ის არის, რომ შემრგო ორხადი (СПИРТЪ) სრულგებითაც არ არსებობს ქვეყანაზე. ანუ: როგორ შეიძლება ერთ და იმავე დროს მოვშალოთ კიდევ ღვინისა და არყეულის სმა და შემოსავალიც ვიქონიოთ მისგან?!

ნორვეგიის სასმელების ვაჭრობის წესმა გამოიღო დიადი და ბრწყინვალე ნაყოფი; ეს იმისთვის, რომ მოხსენებული პატივ-მოპოვებული საზოგადოებანი იღწვიან წრფელის სურვილით— შეამცირონ არყეული სასმელების ხმარება. მათი შემოსავალი არ აღემატება 5% და ბევრი იმისთანა საზოგადოებაც



არის, რომელიც სრულიად არაფერს იცებს. ბევრი ლაპარაკი
საჭირო არ არის, რომ ამ გვარი ერთ-მიერის ვაჭრობა, რომ
გორც დასაწყისი საშუალება, ყოველს ეჭვს გარეშე ღიბისა ქე-
ბისა...


სულ სხვანაირად არის საქმე მოწყობილი სვედეთში: იქა-
ური საზოგადოებანი ხარბად მისდევენ მოგებას და ეს ძირეულ
კუდიანა. გარდა ამისა, ნორვეგიაში ქალაქების და სოფლების სა-
ზოგადოებებს მინიჭებული აქვთ უფლება სრულებითაც აქ-
კრძალონ ხოლმე არყეულის სყიდვა თავიანთში. თუმცა სვედეთ-
შიაც არსებობს ეს კანონი, მაგრამ იმავე დროს იქ კანონი ამბობს
ამასაც: „იმ შემთხვევაში, როდესაც ამას განსაკუთრებული
შემთხვევა მოითხოვს, მთავრობას აქვს უფლება უარ-ჰყოს აღ-
გილობრივი საზოგადოების აღკრძალვით“. ეს „განსაკუთრებუ-
ლი გარემოებანი“-კი, მთავრობამ თითქმის ყველა ქალაქებში
და სოფლებში აღმოაჩინა... ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ
ასე ცოტად შემცირდა არყეულის სასმელების ხმარება სვე-
დეთში.

005123

ჩვენის ფიქრით-კი, მხოლოდ საყოველთაო აღკრძალვით
შეიძლება ფეხის წინ წადვმა!.. უფრო-კი, მხედველობიდან არ
უნდა გაუშვათ საბოლოო მიზანი, რომელსაც ჩვენ ვესწრა-
ფით: ეს მიზანი იმაში-კი არ მდგომარეობს, რომ ერთ-მიერის
საეჭროდ გავხადოთ ესა თუ ის სასმელები, არამედ იმაში, რომ
თან-და-თან მოვსპოთ და სულ ძირიანად ამოვადლო ხმარები-
დან ყოველნაირი ღვინო და არყეული!..

3) ღვინისა და არყეულის გაბეგრება და გაიაფება ახში-
რებს მსმელობას, ხოლო ეს უკანასკნელი უთხრის ძირს ოჯა-
ხის და მთელი ხალხის კეთილ დღეობას.

4) ზემოხსენებულ მოხსენებათა-გამო, საზოგადოებაში
მტკიცდება ზომიერების უფლებლობის აზრი და ეს-კი კარგი არ
არის. შვეიცარიაში, მაგალითად, ყოველ ოჯახში ისმება 2 1/2



ბოთლი ღვინო და არყეული დღეში და როგორც შემოგო სა-
სმელებს ბავშვებსაც ასმევენ.

5) ხშირად საკმაო იქნება ხოლმე მცირეოდნად შესაიხი-
შება, რომ მსმელი, მოკლებული ფიზიკურ გონიერებას, თვის-
თა-უნებურად ვარდება გარყენილების მორევში და ხდება ავად
გადამდები სენით, რის გამოც იშხამება და ილახება მთელი მისი
სიცოცხლე და კეთილ-დღეობა.

ერთი სიტყვით, ღვინისა და არყეული სასმელების ზომიერად
ხმარება, შედის-რა ხალხის ჩვეულებაში, ხშირად გადალახავს
ხოლმე მას (ზომიერებას) და მით შხამავს და შეუმჩნეველად
მოქმედებს ხალხის სხეულურად და ზნეობრივად გადაშენებაზე.
ღვინისა და არყეულის საწინააღმდეგო ბრძოლის ისტორია გვი-
მტკიცებს ფაქტებით, რომ ყოველი ცდა მეტის დაღვევის წინა-
აღმდეგ მიმართული მარად რჩება უნაყოფოდ, და, აი, სწორედ
ამან გამოიწვია მოძრაობა სრული უსმელობისა და თავ-დაჭე-
რილობისა, და სადაც-კი სავსებით თუ სხვა სახით იქმნა იგი
შემოღებული (ფინდლანდიასა, ნორვეგიასა და შვედეთის
შტატებში), ყველგან შესაფერი და ბერი მხრით საგულისხმო
შედეგი გამოიწვია...

III. გვაკლდება თუ არა სიამოვნება სრული თავ-დაჭერილობისა-გამო?

მართალი მოხსენებაა, რომ ჯან-მრთელი ხალხი, თავ-და-
ჭერილობისა-გამო, მოკლებულია უკეთესი ღვინოების გემოვნებას,
მაგრამ ამის მაგიერად იმდენს იგებს, რომ ეს დაკლება
სხვაფრივ უმეტესად ჯილდოვდება: მათ ერთი მოთხოვნით
ნაკლები აქვთ, ენახებათ ფული, სხეულთი შრომის დროს მათ
არ აწუხებთ წყურვილი და თავის თავზედაც არაფრისაგან არც
ეფიქრებათ და არც ეშინიანთ.



მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო აქ ის არის, რომ მსმელნი უფრო უკედ ითვისებენ ნამდილს სიხარულსა და სიყვარულს და ყოველ-გვარ მაღალ ზნეობრივ და მშვენიერობისადმი (ესტეტიკურს) სიამოვნებას. დიახ, ბატონებო! არა მსმელნი უფრო ფაქიზნი და ჩქარა მგრძობელნი ხდებიან; მე გაბედვით ვამტკიცებ, რომ ეს ასეა!..

მე თითონ კარგად ვიცი, რომ, როგორც ზომიერნი, ისე უზომოდ მსმელნი დაგვიცინიან ჩვენ, როცა ასე ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს იმისგან წარმოსდგება, რომ ყოველი კაცი, რომელიც-კი ღვინოს ჩაუთრევია და ამიტომ მარად მის მეტ თუ ნაკლებ გავლენის ქვეშ იმყოფება, სრული შეგნების პატრონი აღარ არის...

IV. რა შედეგი მოსდევს ღვინოსა და ალეულის უზომოდ ხმარებას?

განა ამისიც საჭიროა განმეორება?

1) სხეულის სახსრების ძაფების გადაგვარება, გულისა, ფილტვებისა, სტომაქისა, თირკმელებისა, საიდგანაც წარმოსდგება სისუსტე და მოსწრაფებულის სიკვდილი გულის სიმსუქნისაგან, ფილტვებისა და თირკმელების განხრწნილებისაგან და წელეების მუდმივ წვისაგან, თუმცა სიკვდილის მოწმობებში, მიცვალებულის და მისი ოჯახის მოხატრეობით, თითქმის ყოველთვის მალევე ნამდილს მიზეზს მათის სიკვდილისას. რალაც გაუგებარი წინააღმდეგობისა-გამო ჩვენი საუკუნე უზომოდ ღვინის სმას სთელის რა ღვაწლად, იმავე დროს სათაკილოდ მიაჩნია მისგანვე ავად გახდომა! ძრიელ ხშირად მომარსენია ქებათა-ქებანი სასაფლაოებზე იმ პირთა შესახებ, რომელნიც მხოლოდ ღვინის უზომოდ ხმარებისაგან დაიხოცნენ და ნამდილი მიზეზი-კი სიკვდილისა ძრიელ მცირედს ჰქონდა გავებული...

2) ტვინის გადაჯიშება. ეს ყველაზედ უსაძაგლესი შედეგია ღვინისა და არყეულის ხმარებისა. ვითარცა მკურნალი სულით ავადმყოფებისა, მე შემძლიან გელაპარაკოთ თქვენ ამის შესახებ, ჩემი პირადი გამოცდილების ხელმძღვანელობით.

ლოთი კაცი ნელ-ნელა და შეუმჩნეველად ხდება მიუკარგბელი, ანჩხლი, უგუნური; ზნეობრივი ალლო უჩლოუნგდება, სვინილისი ეძლევა ძილს, ხდება ფლიდი, ცბიერი და უგულისყურო. ერთბაშად კაცში კედება კაცი, ვიდრე შემდეგში, რომელიმე დამაუძლოურებელი ავად-მყოფობა (წვლების წვა, უცბად ფენის მოტეხა ანუ ძალ-ლონის მიხწნევა) არ შეჰყრის მას მომთვრალეობის სახადს. მუდმივი შხამეა ტვინისა უფრო და უფრო ძრიელდება და საქმე იმით თავდება, რომ სწეული თავს იკლავს, ანუ თვითონა კედება, ან კიდევ, გამოუბრუნებლად სუსტდება ჰკუთით და საგიჟეთში ლევს სულსა. ამ სენით შეპყრობილს კაცს, ხოლო მაშინ შეუძლიან უშველოს თავს და გადაიჩეს, თუ რომ გონს თავის დროზე მოვიდა და დაადგა სრული თავ-დაჭერილობის გზას. რაც შეეხება იმას, თუ რამდენს უსიამოვნებას და უბედურებას დაატეხავს მსმელი კაცი თავისიანებს თავისი ბრიყვობით, უწესო ცხოვრებით, ფლანგაობით, გარყენილობით, გადამდები სატკივრებით, უბედური და ხინჩლიანი შეილების გაჩენით, უკიდურობით და თვისი ოჯახის ზნეობრივი გახრწნილობით,—ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით და განსაკუთრებით იმათ, ვისაც შემთხვევა ჰქონია ამ უბედურების და აოხრების ნახვისა.

ისინი-კი, რომელნიც უკიდურესობამდინ არ მიდიან, რომლების „სულმა იცის ზომიერება“ და რომელნიც ღვინის სმისაგან არიან—ზომიერად რეგვენნი, ზომიერად ზარმაცნი, ზომიერად მატყუარა და დაცემულნი, არ შეიძლება ჩავთვალოთ ნამდვილ ლოთებად, მაგრამ, ეს პირნი, მაინც მუდამ და

ყველგან, შეადგენენ ჩვენი დროის დიან საჭირ-ბორბორ
წყლოუსა.

3) ზნეობის სიწმინდრე და ზოგჯერთი სხვა მკენელობა. დუ-
ქნებში გდება და ღვინით გაღეკება იტაცებენ კაცს ოჯახილამ
და აგდებენ მას გარყვნილობის მორვეში; სული და გონება ენ-
შობა და იგი ხდება მსუნაგი, თავ-აშვებული და ჩერჩეტი. აგ-
რეთვე ხშირად ხდება ავად ვადამდები სატკივრებით და მით გა-
დასცემს შხამს, როგორც თავის თავს, ისე ცოლს და შვი-
ლებს, რომლებიც თავის მხრით ვადასცემენ შემდეგ ჩამომავ-
ლობათ, თითქოს შურის-ძიებად თავის მამა-პაპათა.

4) ჩამომავლობის ვადაშენება. რომ ლოთი ხალხის შვილე-
ბი დაბადებითვე მიღრეკილნი არიან ლოთობისადმი, რომ მათ-
გან ხშირად გამოდიან ბნელიანები, სატკბურიანები, გამოთაყვა-
ნებულნი (ვადარეულნი), ყრუ-მუნჯნი, პატარ-ტანოვანი, სუსტ-
ძარღვიანი და სხვ., ეს ხომ ყველამ დიდი ხანია ვიცით...

V. ღვინისა და არყეულის წარმოება შეადგენს ხალხის სიმდიდრის
წყაროს, თუ არა?

ღვინისა და არყეულის წარმოება არის საშინელი და ამო-
უყვებელი უფსკრული, სადაც ინთქმება აუარებელი რიცხვი კა-
ცის ნაშრომისა და მიწის მოსავლისა, არა სასარგებლოდ კა-
ცობრიობისა, არამედ მისდა საზარალოდ და ვასალატაკებლად.
გამორჩენა მემამულეებისა, მეღუდეთა, ღვინის ვაჭართა და მე-
დუქნეთა, გამორჩენა სახელომწიფოებისა, როცა ისინი ხელს უწყ-
ობენ მათრობელა სასმელების ხმარების და წარმოების ვაფრცე-
ლებსა, — ყველა ეს მხოლოდ ცარიელი მოჩვენებითი (ფიკტი-
ური) გამორჩენაა, მოჩვენებითი სიმდიდრეა, რომლის აღებ-მი-
ცემობის მხარეს მოაქვს წარმოუდგენელი ენება და ვალატაკება
ხალხისა, მისი ჯან-მრთელობის, კვების და ნიეთიერი და ზნეო-



ბრივი სიკოცხლის მხრივ. ჭეშმარიტად—ზურის მავიერ ისევ ძას
სჯობია ანაყსა და ღვინოსა!.. ან რა არის ღვინისა და არაყიულის
წარმოებაში სახარბიელო, როდესაც ნათლათა ვხედავთ ჩვენ,
თუ რა განწირულს მდგომარეობაში იმყოფებიან თვალ-უწვდენ-
ელი ვენახების პატრონები და ქვეყნები! რით არიან ისინი უკეთ
მდგომარეობაში იმათზე, რომელნიც თვით ბუნებისაგან მოკლე-
ბულნი არიან ვენახებსა!..¹⁾ ბატონებო! პირის-პირ ამისთანა ფაქ-
ტებისა ყოველი მოაზრე კაცი უნდა ჰკვირობდეს მხოლოდ მას,
რომ ბრძოლა ღვინის სმის წინააღმდეგ ასე მძიმედ მიდის წინ.
უმთავრესად-კი იქიდგან წარმოსდგება ეს, რომ ხალხი ჯერ ისევ
ბევრ შემთხვევაში მიაგავს ცხვრებს. ბუნგე სწერს:

„უმრავლესი მიზეზი მთერალობისა არის საქმის გაუსინჯა-
ვად მიჩვევა და სწისი წაბაძვა. პირველი ჭიქა ლუდი ჩვენ ისე
ცოტათ მოგეწონს, როგორათაც პირველი მოწვევა თამბაქოსი.
ხალხი სვამს იმიტომ, რომ სხვებიც სმენ. ხოლო, თუ ერთხელვე
მიიჩეია კაცი სმას, შემდეგშიაც მუდამ ეძებს მიზეზს, რომ გა-
ნაგრძოს სმა. სვამენ, როცა ერთმანერთს შეხედებიან; სვამენ,
როცა ერთმანერთს ეთხოვებიან; სვამენ, როცა ჰშიანთ, რომ
შიმშილი გააყურონ; სვამენ, როცა მაძღრისად არიან, რომ უფ-
რო მადა მიეცეთ; სვამენ, როცა სცივათ, რომ შეხურდნენ;
სვამენ, როცა სცხელათ, რომ გაგრილდნენ; სვამენ, როცა ეძი-
ნებათ, რომ გამოფხიზლდნენ; სვამენ, როცა არ ეძინებათ, რომ
უფრო დაიძინონ; სვამენ შწუხარებისა-გამო, სვამენ სინარული-
სა-გამო; სვამენ, როცა ვინმე დაებადებათ—ნათლობებში; სვა-
მენ, როცა ვინმე მოუკვდებათ—ქელეხებში; სვამენ და სვამენ...
ღიახ, რატომაც არ დალიონ, რომ მიივიწყონ მოვალეობა და
უბედურება!.. მაგრამ უდიდესი უგუნურება აქ იმაშია, რომ ებ-

¹⁾ დამტკიცებულია, რომ ვენახ-მელვინეობის მიმდევარი ხალხი მარად
უფრო ღარიბი და ვალეში ჩაფლულია, ვიდრე სხვა ხელობის ხალხი.



რძიან სილატაკეს (შედგეს) და სიმთვრალეს-კი აძლიერებენ (მი-
ზეზს).

დიდი ადგილი უჭირავს აქ დაცინვის შიშსაც. აქ მისმეცადონ
ბი მოგვაგონებენ შეგირდებს, რომელნიც შიშობენ მოიქცნენ
ისე, როგორც თვითონა სურთ, და იქცევიან ისე, როგორც
სხვები უჩვენებენ. რამდენი გამომიტყდა მე ამაში. ასეთია ყვე-
ლა დიადთა აზრთა და მოქმედებათა ბედი. თითქმის ყოველი
გენიოსური ახალ-შემოღება და გამოგონებანი დაცინვით არიან
შეგებებულნი. ეს უნდა გვანუგეშებდეს ჩვენ!..

გადავიდეთ ახლა იმაზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღვი-
ნოს სტუდენტების ცხოვრებაში. სამწუხაროდ ვერაფერს სანუ-
გემოს ვხედავთ ჩვენ აქ. თამამად შემოძლიან ვსთქვა, რომ უმ-
თავრეს ნაწილს თავის სულიერ ძალისას უნივერსიტეტების ახალ-
გაზდობა აწობს ლუდსა, ღვინოსა და სხვა არყეულ სასმე-
ლებში. ხუმრობით ძალ-დატანება და მაიმუნური ყოყოჩობა,
რომელიც შემოიღო დ-გააგრცელა ნემეცების სტუდენტების
ლოთობის ამხანაგობამ, შეადგენენ ჩვენი განათლებული საუ-
კუნის ერთ უსაშინელეს და სამწუხარო მოვლენას. ეს არის
დიდად გამოაშკარავებული სულიერი და ნივთიერი სილატაკე,
რომლის მსგავსს და უგუნურს რასმეს ძნელად თუ გამოისძებნი-
და უნივერსიტეტების ახალგაზდობა—ეს სულიერი იმედი ხალ-
ხისა.

სტუდენტები ხშირად დასცინიან ქალებს პარისულ მოდებ-
ზე,—მეც დაუძინებელი მტერი გახლავართ ამ უგემონო და
შეუყენებელი მადისა მაიმუნური ტანსაცმელის ჩქარ-ჩქარა გა-
მოცვლაზე, რომელსაც, თითქმის რომ ის ერთობა აქვს ღვინო-
სა და არყეულის ხმარების ჩვეულებასთან, რომ ერთიცა და მეო-
რეც სხვა-და-სხვა ჩარჩების ჯიბების გასაქსებად არიან უფრო
დანიშნულნი. ახლა, რამდენად უფრო უგუნური და საზიზლა-
რია სტუდენტური მოდა მთვრალობისა? აი ამას ეძახიან სტუ-



დენტების ძმობას, მეგობრობას, ურთ-ერთისათვის თავ-დადებ-
ბას! დიახ, საოცარი ძმობაა ენის ბლუკუნით, ~~სქეთ-მქონ-მძი~~
წყვეტ-მოწყვეტით, ჩხუბით, რწყვე-ნთხევით და ~~დაუსტკი~~
ლით, — ძმობა, რომელშიაც დიდი გამოჩერჩეტება გენიოსობად
მიაჩნიათ, ბოდიშს ხდილობენ და აღტაცებაში მოდიან ყოველი-
ვე სიწამბდრითა და ძალ-ლორობითა!..

მე პირველი მზათა ვარ აღტაცებაში მოვიდე და ვაქო-ვა-
დებო სტუდენტების ერთობის მოყვარეობა, მაგრამ, განა ამა-
ვე ძმობათ არ შეუძლიანთ უგამფიცხებელ სასმელოდ მისდიონ
იმ გვარივე სიმარდით თავის საწადელს, აღძრან მისწრაფება სი-
მშვენიერისა და კარგისადმი, იზრუნონ სულიერი და სხეულითი
განვითარებისათვის! რომ მეტი ფხიზელი იყოს სტუდენტობა,
განა არ შეუძლიან დააფუძნოს წრეები ჯან-მოვარჯიშობისა,
მომღერლებისა, ხლოვნებისა, სოციალური კითხვების შემ-
მუშავებელთა, სახალხო განათლებისა, სამეცნიერო, სალიტე-
რატურო, მუსიკალური და სხვ. რა ადგილი აქვს ყველა ამ კე-
თილშობილურ მისწრაფებასთან, რომელნიც ამაღლებენ უნი-
ვერსიტეტის ახალგაზდობას და შევლიან მას განვითარებაში, დიახ,
რა ადგილი აქვს-მეთქი მასთან, ამ საცოდავს, ბევრისთვის წერა-
სავით მიჩემებულს მორვეს ღვინისას, სიმთვრალისას, გადარევი-
სას, რომელიც ლახავს და აუძლოურებს ყოველსავე სიცხოვლეს,
აბრიყვებს, აწუწუკებს, აუგუნურებს ხალხს და ნთქავს ყოველსა-
ვე იდეალურს მისწრაფებას!

ერთად ერთი საშუალება, ბატონებო, რომ თავი დავალ-
წიოთ ამ მზნედავ მორვეს არის: სიფხიზლის წრეების დაწესება,
რომელნიც გამოეკიდებიან ზემოხსენებულ წადილს და ვაქ-კა-
ცურად გაუმკლავდებიან თავ-დაუჭერავებს. რომ ესთქვათ ეხ-
ლავე—ვინ გაიმარჯვებს—ძნელია, მაგრამ, იმას-გი გეტყვით, ბა-
ტონებო, რომ გამარჯვება იმათ დაწესებათ, ვინც სულით მძაფრი
იქნება, ე. ი. აწრთა მიმდრეკულთ, გულ-წრთეულთ, კეთილ-ყოფულთ,



მოსამართლეთ. იქ, სადაც მეცნიერება დაჯანებულია უმეცრებასთან, ზნეობრივი წინსვლა—ზნეობრივ დაცემასთან, კეთილესი სიმშვენიერე—ბოროტებასა და უმსგავსოებასთან, იქ უეჭველად გაქარწყლდება უმეცრება, უზნეობა, ბოროტება და უმსგავსება. ჩვენი იარაღი ძრიელ მარჯვეა და კარგი, ძრიელ მშვენიერი სხეულურად და ზნეობრივად, ასე რომ შემდეგ და შემდეგ უფრო გავიმარჯვებთ...

მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ აწადი მიზანი არ არის. თავ-დაჭერილობა არ უნდა გავიხადოთ კერპად, რომელიც გაგვიწვედეს მხიარულად დროს გატარების მაგიერობას და რომელზედაც ჩვენ გულს-დავყრიდეთ: თავ-დაჭერა არის მხოლოდ საშუალება განვითარდეთ სიწამლისაგან და წავემართოთ უფრო მაღალ მიზნისაკენ. ჩვენ სრულიად არ გეწადიან შევიქნათ დაღვრემილ შეუღებოვებად, არამედ ცხოვრება-მოხარულ და მომქმედ პირებად, რომელთაც ცხოვრებითაც შეუძლიანთ ისარგებლონ და ვაჟ-კაცურადაც იბრძოლონ ჭეშმარიტებისათვის. ჩვენ სრულებითაც არა გვსურს დაეზოთ ბუნებური და სალი ადამიანური მოთხოვნილებანი და სიამოვნებანი: ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ყველა ეს დაცული გექონდეს ადამიანის ზნეობრივ განვითარების ჩარჩოებში, რომელიც თავის მხრით უსათუოდ ნათლად დამყარებული უნდა იყვეს ჰიგიენაზე¹⁾),—გვსურს დაუმორჩილოთ ეს სიამოვნებანი ზნეობრივს და მშვენიერების მიზნებს, რომელნიც თავს დასტრიალებენ ნათლად შეგნებულ ადამიანის და ხალხის კეთილ-დღეობას...

ზემოთ მე უკვე მქონდა მოხსენებული კაცთა ერთ უმთავრეს ამალორძინებელზე—სიყვარულზე. გთხოვთ ნება მიბოძოთ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ამაზედაც.

¹⁾ ჰიგიენა არის მეცნიერება ჯან-მრთელობის დაცვაზე.

დაბალ პირუტყვებში არის მხოლოდ სქესებური მიდრეკი-
ლება, სიყვარული-კი არ არის. ცოტა უფრო სრულყოფილ-
ლობის პირუტყვებში ჩვენ ვხედავთ, რომ მამალში იცავენ დედ-
ლებს და გვაჩვენებენ მათ მითვისებას; ერთში ვხედავთ დედი-
სებურს სიყვარულს, მეორეში—მამისებურს; აქ იხატება ნიშანი
ოჯახობისა. საზოგადო ცხოვრების პირუტყვებში: ჭიანჭველებ-
ში, ფუტკრებში და მაიმუნებში ჩვენ ვხედავთ, რომ კვირძრა-თითო
(ИНДИВИДУМЪ) ერთობას სწირავს ხოლმე თავის თავს და თავის
გულის-თქმათ.

კაცს, როგორც არსებას უმაღლესს, სულიერს და საზოგა-
დო ცხოვრებით მცხოვრებს, წინამოსაზრულივე ჰქონდა (БЫЛО
предначертано) განვითარებინა ოჯახური ცხოვრება და უმა-
ღლესი სიყვარული, ე. ი. განვითარებინა კერძო პირებში ურთ-
ერთის თავ-შეწირვა მეუღლისა, შვილთა და მშობელთათვის,
სამშობლოსა, კაცობრიობისა და იდეალური მიზნებისათვის.
პირუტყვების და კაცთა ზოგიერთ დაბალ მოდგმების ერთმა-
ნერთში აღრევისაგან (СОВОКУПЛЕНІЯ) წარმოსდგა და თან-და-
თან უფრო განვითარდა ერთ-ცოლობა, რომელიც უნდა დამ-
ყარდეს არა ძალ-დატანებასა და გამოგონილ დადგენილებებზე,
არამედ წრფელს სიყვარულზე. სიძნელე და დიადი ძიება (зада-
ча) სოციალური მეცნიერებისა იმაში მდგომარეობს, რომ ყვე-
ლა ხალხის ცხოვრება შეთანხმებულ იქმნას უმაღლეს სოცია-
ლურ ინტერესებთან. ეს აგრეც აუცილებელია ჩვენი საზოგადო
აგებულობის განვითარებასთან; მაგრამ უმაღლესი საყვარული,
რომელიც არის საფუძველი კაცთა ნათესაობისა და ოჯახის, არას
გზით და არასოდეს არ შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს გან-
ცხრომილებას, ღვინით ღროს გატარებას! ეს იქნებოდა უკან
სელა, დასრულებულის ხელ-ახლად დაწყობა, ერთმანეთში გა-
ნურჩევილად აღრევის დაბრუნება, პირუტყვების სქესურ მიდრე-
კილებასთან დაახლოვება, კერძო—თვითონის ხორციელი ვნების


გამარჯვება... ასეთი უკან დახევა არამც თუ უცნაური რამ იქმნებოდა, არამედ ყოველად შეუძლებელიც. ამიტომაც აწინდელი მიდრეკილება საზოგადო განახლებისადმი (რეფორმებისადმი) ან უნდა იყოს ზნეობიანი, ე. ი. კარგი, ან არა და, როგორც ბუნების წინააღმდეგი სიმახინჯე, რომელიც გამოგონილია ზე-მოაზრეთაგან (თეორეტიკებისაგან) მსნავსად ყოველ ბინძურ გარყვნილებისა და თავ-მოყვარეობის გრძნობათა მეტ-მეტობისა, — დაილუპება და იქნება შეცვლილი სხვა უკეთესით... მოგაგონებთ აგრეთვე გამოჩენილ ცრუ-მეთავისუფლეთა¹⁾ და საამქვეყნო მენიეთიერთა.²⁾ სკოლას, აგრეთვე გარყვნილ განმახლებელთა³⁾ და გუროების (романовъ) მწერლებსა, და იმ შეუგნებელ და შეგნებულ მატყუარებს, რომელნიც მისალწევად თვისთა მიზანთა ცდილობენ ჩამოაგდონ ხალხში შფოთი, თავ-მოყვარეობა, განცხრომა-სიამოვნება და შეაზიზღონ მას სიყვარულის მაღალი სახიერებანი.

ამ გვარ საამქვეყნო სწავლების მოსასპობად, რადგან იგი ყოველ იდეალურ მისწრაფებას ამაოებად აცხადებს, საკმარისია მისგანვე გამოწვეული და შექმნილი განრწინილება. სადღეხვალის სიამოვნების გამოსაწვევად მას არ გააჩნია შემდეგი დღეების მწუხარება-უბედურება. მაგრამ გაცრეუბული სიყვარული, გაცრეუბული იმედები, ღვინოში ჩახრჩობა და გადაძებ-შესაყარი სატკივარნი ერთმანერთს ეცდილებიან, რომ უფრო ნათლად დაამტკიცონ მათი ამაოება და უღონობა. აბა ნახეთ ეს მასხარა ბინძურე-

1) მეთავისუფლე — თავისუფლების მოყვარე, ხალხისათვის თავისუფლების მნდომი (либералъ).


2) მენიეთერი — მიმდევარი იმ სწავლისა, რომ ბუნების ყოველი მოვლენა სწარმოებს თვით ნივთთა ძალითა და არა უზენაესისა (материалистъ).

3) განმახლებელი — ცვლილებათა შემომღებნი (реформаторъ).



ბი 20—30 წლის შემდეგ, როდესაც შორდებიან ისინი წითელ სოფელს ზნეობრივად და ხორციელად მოშლილნი გვარ სიყვარულისაგან მოტყუებულნი, დაჯილდოვებულნი ზნეობრივად და ხორციელად დამახინჯებული ჩამომავლობით, აღესილნი ბოროტი და უსუსური სურვილებით! განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალი მათ დარჩეს? „შეიძლება მოხდეს კიდევ!“ — მეტყევით თქვენ. მაგრამ, ბატონებო! უწინ იყო ჩამომავლობითი დიდ-გვაროვნობა (არისტოკრატია). ნივთიერი განვითარებისა-გამო, რომელიც დაეტყო დღეს კაცობრიობას ზედი-ზედ ათას-გვარი გამოგონებითა და მრეწველობით სარგებლობის შეძენით, — ეს უწინდელი დიდ-გვაროვნობა გადაახლდა დიდ-გვაროვნებად ფულისა, დიდ-გვაროვნებად სიმდიდრისა, განცხრომისა (ბომონისა). მიუხედავად თვისი გარეგნული ბრწყინვისა და მოჩვენებული ძალისა იგი დღესაც იტანჯება მრავალ-გვარი სატკივრებით — სისუსტით, სიაზიზით და გადაშენებით. ამისი მიზეზი-კი ორია: განცხრომა და უზნეობა.

დიდ-გვაროვნობა მომავლისა აწის გვაროვნობა სუფოვნობისა და თქვენც, ახალგაზრდებო, წარმოდგენთ ამ ძალას კაცობრიობისას, რომლისაგანაც უნდა იგი აღოჩინდეს და აღოჩინდეს კიდევ, ამისთვის, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითამც გვაროვნობას ფულისას გამოსცვლიდეს ბრეივობა და უჭკუობა! მაგრამ განსოდეთ ესეცა: ჩვენით შეუძლებელია სულის დაყოფა ჭკუასა, გულსა, ნებასა და სვინილისზე. მხოლოდ თანახმად (პარმონიულად) განვითარებულს გონებით მოქმედებს ეკუთვნის მომავალი, რადგანაც სასაცილო იქნება დავამყროთ საზოგადო ძლიერება და მომავალი თავ-მოყვარულ და გონება-ანგარიშულ პიროვნებებზე. ეს არის მოზმანებული ბოდვა მხატვ მენიეთერეთა, რომელთაც არა გაეგებათ-რა სულის-მეტყველებისა (ფსიხოლოგიისა). თუ არ გვექნება ზნეობრივი წარმოდგენანი და მოთხოვნილებანი, სვინილისი, გული, ნამდვილი სიყვარული, თავ-შემ-



წირველობის უნარი, თუ უმაღლეს სასულიერო მისწრაფებათ არ დაუმორჩილეთ ბუნებითი ქვენა მოთხოვნილებას, მიიღებთ ბანი, მარტო რომელთაც შეუძლიანთ ჩვენ და ჩვენ შევძლებთ მოგვანიჭონ საღი განვითარება, — შეუძლებელია უამათოდ რომელიმე საზოგადოებური ცელილებანი (სოციალური რეფორმები), შეუძლებელია რაიმე გვარი ბედნიერება!..

განა-ლა კიდევ საჭიროა გაჩვენოთ და აგიწეროთ საზოგადო ზნეობრივი სურათები, რომ ისევ ის დავამტკიცოთ, თუ როგორი ახლო კავშირი აქვთ ერთმანეთში საზოგადო-ზნეობრივ კითხვებს ღვინისა და სხვა არყეულის ხმარებასთან? ღვინო, რომელიც ხოლო ერთი წუთით ალაფროთოვანებს ჩვენს სულიერს მოქმედებას, რათა შემდეგში თვითვე დახშოს იგი, რომელიც ყველაზე უწინ ჩვენ მაღალ ზნეობით გრძნობებს, აზრებს, და ნებას აჩლუნგებს ტვინის შეუმჩნეველად მოშხამვით, რომელიც ჩვენ უფრო გვამხეც-გვაბრიყვებს, ვიდრე ვართ, რომელიც, გარდა ამისა ჩასახისათნავე ანიორწყლებს და ამახინჯებს ჩვენს შემდეგს თაობას, ღვინო — ეს ხომ უწყალო მტერია კაცთა ნათესავის მომავლისა! ჩვენ სრული ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ მის ამოგდებას და არც დავცხრეთ, ვიდრე სამუდამოთ და გარდაწყვეტით არ ჩაუძახებთ მას ქიმიურს სამზვარეულოში (ლაბორატორიაში) და აფთიაქებში, სადაც მორფისთან და მისთანებთან ერთად იგი მიეწერება სხვა დანარჩენ შხამებს!..

ღვინო, გადაბმული კერპთ-თაყვანის-მცემლობის ოქროს ზვარაკთან, შეადგენს მეცხრამეტე საუკუნის ნამდვილს სატანას. ღმერთმა ინებოს, რომ მეოცე საუკუნეს ამოეგდოს ერთიცა და მეორეცა!.. აბა მაშინ გაიწევეს ჩვენი ხალხი და კაცობრიობა შესაგებებლად ახლისა და უფრო ბედნიერისა მომავლისა!

ამის განსახორციელებლად-კი, ბატონებო, აუცილებლად საჭიროა ყველა შეგნებული ჩვენთაგანის დახმარება. ჩვენსკენ იყავით, ბატონებო, ნუ წახვალთ ჩვენ წინააღმდეგ!..

ამიტომაც, მე ამას წინად, შემოვიარე რა ნორვეგიაში, მიხაროდა, როცა ვუცქეროდი მხიარულს, ფხიზელს, პატრონის სოფლის მცხოვრებთ, რომლის მსგავსი მე ჯერაც არ მინახავს და რომელიც მხიარულად და წყნარად უკრავს და მღერის უქმე დღეებში, არა ისე, როგორც; სამწუხაროდ, ჩვენში იციან, რომ ქუჩები რეგენი და მთვრალი ხალხით გაიჭედება და გავლაც-კი გეშინიან მათ შორის? განა ყველა განათლებული და ზნეობიანი პირის წმინდა მოვალეობას არ შეადგენს იბრძოლოს ჩვენთან ერთად? ნუ თუ იქამდისინ უნდა მივიყვანოთ საქმე, რომ უბრალო ხალხმა დაგვარცხინოს და წაგვასწროს თვისი თავდაჭერილობით?

ვათაგებ ჩემ სიტყვას დაბეჯითებითი მოწოდებით, დაბეჯითებითი თხოვნის მიმართვით ყველა მამა-დედაკაცთადმი, უფრო-კი ცოდნის მაშვალთ და, ყველაზედ წინ, აქიმთა მიმართ: მოიფიქრეთ და, უპირველეს ყოველთა, მეცნიერულად შეისწავლეთ ფხიზლობის ვითარებანი, მის მაგიერ, რომ შეშლილ მიბჭუნელებად (ფანატოკოსებად) გვალთარებდეთ. სხვა არა იყოსრა, ერთხელ მაინც სცადეთ თვით თქვენ თავზე, თუ სხვებზე არა, რა შედეგი მოსდევს სრულ თავდაჭერილობას სმაში ანუ ხოლო ზომიერად ხმარებას ღვინისას! მე მგონია, რომ ასეთი დიადი საზოგადო საკითხი ღირს მაგ პატარა შრომად...

დასასასრული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

წაიკითხავს ამ წიგნს ქართველი და გაკვირვებით იკითხავს: ესთქვათ რომ თავი დავენებეთ ყველამ ღვინისა და არყის სმას; რა უყოთ ამოდენა ტურფა ვენახებს, სადაც მთელი საუკუნოე-



ბის განქვეყნებაში ჩაღვრილა სისხლი და ოფლი ჩვენ მამა-პა-
პათა?! ნუ თუ ყველა ეს, ერთი რაღაცა მოარუდნი ჩვენს გამო-
უნდა ერთ დღეს გადავჭრათ და ზამთარში ბუნებრივად სწავლავდ
ეინმართო? არა, ბატონებო! სრულიად საჭირო არ არის ასეთი,
წრეს გადასული, გატაცება. პირიქით, არა თუ უნდა გადავჭრათ
და საუკუნოდ ძირიანად ამოვადლოთ ჩვენი ტურფა ზვრები და
ვენახები, არამედ უფრო კარგად უნდა მოვეუაროთ მათ, მაგრამ
ღვინოსა და არაყს-კი ნულარ გავაკეთებთ, შხამს და მაცდურს
ნულარ განუმზადებთ ჩვენსავე ძმათ. ბევრი ჩიხინი არავეს უნდა,
რომ რამდენათაც მეტი სასარგებლო საგნები აქვს რომელიმე
ხალხს*), რამდენადაც მეტი საკვები აქვს ხალხს, იმდენად უფ-
რო მეტს კეთილ-დღეობაშია ეს ხალხი, რადგანაც კვება და სა-
ზროდო სხეულისა ერთი უპირველესი წყაროთაგანია წესი-
ერი სიცოცხლისა. თუ ეს ასეა, ავიღოთ ჩვენც და, იმის
მაგიერ, რომ ყველასათვის დიდად მავნებელი სასმელები ვაკე-
თოთ, პირიქით, გავაკეთოთ ყველასათვის ფრიად გემოვანი და
მარგებელი მასაზრობებელი საგნები და ხილი. ამით ჩვენ გაუ-
ჩენთ ბავშვებს და ყმაწვილებს, რომელნიც მარად უმეტესობას
შეადგენენ ყველა ხალხებში, ერთ უმშვენიერეს საკვებს და
ხილს. თუ დღეს ხშირად ისე გაიპარებიან ხოლმე მთელი თვე-
ები, რომ ჩვენი შვილები გემოთიცი ვერა ნახავენ ხილსა, სულ
სხვა იქნება მაშინ: სიმრავლე ხილისა ნებას მოგვეცემს უფრო
ხშირად ვასიამოვნოთ ჩვენი მოზარდი თაობა მათი აგებულო-
ბისათვის ასე საჭირო საკვებით. გულზე ხელი დავიღოთ და გა-
ვისხნოთ ის აღტაცება და სიხარული, როდესაც საიდანმე ერ-
თი პარკუჭანა ჩურჩხელა ანუ ჩამიჩი მიგვიღია! ჩვენ-კი ისე ვართ
გაწუწკებულნი და ღვინით დამთვრალნი, რომ ორიოდ ჩავს

*) ამაზედ ხომ ჩვენ-მიერ გამოცემულ ადამ სმიტის წიგნშიაც წაიკი-
თხავდით, „ზრომა, სიმდიდრე და ფული“. ფასი 15 კ. გაგზავნით. ი. რ.




ტკბილსაც ვერ ვიმეტებთ ხოლმე საჭირო ხილის მოსამზადებლად..

ნურც იმას იფიქრებს ქართველი, რომ ყურძნის ამ სახით გამოყენება იმდენს შემოსავალს ვერ მისცემს მას, რამდენსაც აძლევს იგი ღვინისა და არყის სახით. უსაფუძვლო აზრია: კარგად მოაწყეთ ეს საქმეც და დარწმუნდებით, რომ მოხსენებულ ნაწარმოებსაც ისეთივე გასავალი ექნება, როგორც ღვინოსა და არაყს აქვს და ქვეყანასაც შხამის მაგიერ სასარგებლო სანოვაგს მოუმზადებთ.

აყვადება მაშინ ჩვენი ხილნარობაც: თხილი, კაკალი, ნუში, მხალი, ვაშლი და მისთანები გახდება აუცილებელი სამკაული ჩვენი ყველა კარ-მიდამოსი, რადგანაც ნაყოფი მათი საჭირო იქნება ყურძნისა და ნაწარმოების მოსამზადებლად და აღარც მარტო ვენახს იქნება მიჩერებული ჩვენი კაცი. მიიღეთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ჩვენში ძნელად მოიპოვება ოჯახი, რომ წელიწადში რამდენიმე ათი და ოცი თუმნის ღვინოსა და არაყს არა ხარჯავდეს. თუ ღმერთი შეგვეწია და სრული უსმელობის გზას დავადექით, ეს თუმნიანები ჩვენ სახლში დაგვრჩება და შეგვეძლება ისევე ოჯახის კეთილ-დღეობაზე და ანუ მის უკეთეს კვებაზე მოვიხმაროთ, არც ის იქნება ურიგო, რომ ყურძნის ამ გვარად მოხმარება გაუჩინს ჩვენს დედა-კაცებს და ქალებს სწორედ მათთვის ზედ-გამოჭრილ საშინაო საქმეს და მამა-კაცებს-კი მისცემს შეძლებას სხვა უფრო რთულ და მძიმე საქმეს მოახმარონ თავიანთი ძალ-ღონე... დასასრულ, ესთხოვე ყველას, ვინც-კი ამ წიგნის გავლენის ქვეშ, დროებით ანუ სამუდამოთ, ხელს აიღებს ღვინისა და არყეულის სმაზე, ანუ, ვინც ნათქვამის მსგავსად ეცდება მოაწყოს თავისი ვენახის და ხილნარის წარმოება, — ყველა ეს, მოკლე წერილით გვაცნობონ ხოლმე ჩვენ, რისთვისაც დიდად მადლიერნი დავრჩებით... ჩვენი ადრესი: თბილისი, ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილს.

ი. რ.



3/148



ეროვნული
ბიბლიოთეკა